

**URGENT
ACTION
FUND ♀**

FOR WOMEN'S HUMAN RIGHTS

ქალთა უფლებების დაცვის

სწრაფი რეაგირების ფონდი

სწრაფი რეაგირების ფონდი

იძლევა მცირე ფულად

გრანტებს გადამწყვეტ

და სტრატეგიულად

მნიშვნელოვან მომენტებში

ქალთა და გოგონათა

უფლებების დაცვის

მხარდასაჭერად მთელს

მსოფლიოში.

სწრაფი რეაგირების

გრანტების გამოყოფა

სწრაფი რეაგირების ფონდი (UAF) უზრუნველყოფს დროულ მცირე გრანტებს სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ღონისძიებების მხარდასაჭერად მსოფლიოს ნებისმიერ ადგილზე, რათა გამოყენებული იქნას ხელსაყრელი შემთხვევები ქალთა უფლებების დაცვის გასაუმჯობესებლად. ასეთი შემთხვევები ხდება, როდესაც რამე მოულოდნელი მოვლენა – პოზიტიური ან ნეგატიური – ქმნის სიტუაციას, რომელში სწრაფ ჩარევასაც შეიძლება მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვეს.

სწრაფი რეაგირების ფონდი მრავალგვარ საქმიანობას უჭერს მხარს, თუმცა ყველაზე მთავარი მიზანი მაინც ქალთა უფლებების დაცვის განვითარებაა.

სწრაფი რეაგირების ფონდი ძალადობრივი მეთოდების გამოყენებლობის პრინციპით ხელმძღვანელობს. UAF-ი არ აფინანსებს ჯგუფებს ან ადამიანებს, რომლებიც ხელს უწყობენ ძალადობას ან მასში მონაწილეობენ.

UAF-ი 72 საათში რეაგირებს ყველა მოთხოვნაზე.

UAF-ს არ შეუძლია გრანტების მიცემა პუმანიტარული ღონისძიებებისთვის, ზოგადი პროგრამული საქმიანობისთვის, გრძელვადიანი პროექტებისთვის ან კონფერენციებში ინდივიდუალური მონაწილეობისთვის.

სწრაფი რეაგირების ფონდის გრანტები სამი კატეგორიის შემთხვევებისთვისაა განკუთვნილი:

- რეაგირება შეიარაღებულ კონფლიქტზე, ძალადობის ესკალაციაზე ან პოლიტიკურად არამდგრად გარემოზე.
- პოტენციურად პრეცედენტის შემქმნელი სამართლებრივი ან საკანონმდებლო ქმედებები, ან ქმედებები, რომლების მიზანიც უკვე შექმნილი პრეცედენტის დაცვაა.
- ქალთა უფლებათა დამცველების დაცვა და უსაფრთხოება.

კატეგორიის მიუხედავად, საგრანტო შეთავაზებები უნდა ავლენდეს ყველა ამ კრიტერიუმს:

სტრატეგიული – ქმედება უკავშირდება წინასწარ განსაზღვრულ გეგმას ისეთი სრტუქტურული ცვლილების განსახორციელებლად, რომელიც ხელს შეუწყობს ქალთა უფლებების დაცვის წინსვლას.

მოულოდნელი და დროში გადაუდებელი – სიტუაცია ან შემთხვევა წინასწარ გაუთვალისწინებელია და რეაგირება სწრაფად უნდა მოხდეს, რომ ეფექტიანი იყოს.

მდგრადი – ჯგუფს შეუძლია ეფექტიანად განახორციელოს გათვალისწინებული ქმედება და ძალუძს ამ სტრატეგიასთან დაკავშირებული შემდგომი მუშაობის დაფინანსების უზრუნველყოფა.

მხარდაჭერის მქონე – ჯგუფს გააჩნია ადგილობრივად თუ გლობალურად ქალთა უფლებების დაცვის საქმეში ან მონათესავე სფეროში ჩართულ სხვა მონაწილეთა მხარდაჭერა.

როგორ მოვითხოვოთ გრანტები

სწრაფი რეაგირების ფონდი უზრუნველყოფს დამატებით დაფინანსებას ჯგუფებისთვის, რომელთაც უკვე აქვთ ფინანსურად მდგრადი განხორციელების პროცესში მყოფი სტრატეგია, ან ჯგუფების გაერთიანებებისთვის, რომლებიც ერთად რეაგირებენ კრიზისზე ან ახალი შესაძლებლობის გამოყენებაზე.

გრანტის მოთხოვნები სწრაფი რეაგირების ფონდს შეიძლება წარუდგინოთ უშუალოდ ან ჩვენთვის უკვე ნაცნობ პირთა ან ორგანიზაციათა მეშვეობით.

ჩვენ შეგვიძლია უფრო სწრაფი რეაგირება მოვახდინოთ მოთხოვნებზე, რომლებიც შეიცავს ჩვენი ერთ-ერთი მრჩეველის ან მართვის საბჭოს წევრის, სხვა დამფინანსებლის ან ქალთა უფლებების დაცვის ორგანიზაციების რომელიმე ცნობილი წევრის მიერ ვიზირებულ რეკომენდაციას.

მოთხოვნები მიიღება ნებისმიერ ენაზე, მაგრამ ინგლისური, ესპანური ან რუსული ენების გარდა სხვა ენაზე შედგენილი მოთხოვნის სათარგმნად შეიძლება საჭირო გახდეს დამატებითი დრო.

შეთავაზების ტექსტში შემავალი ინფორმაცია შეიძლება კონფიდენციალური დარჩეს, თუ ასეთი მოთხოვნა იქნება. წინადადებები სწრაფი რეაგირების ფონდს ელ-ფოსტით, ფაქსით ან საფოსტო სამსახურის მეშვეობით უნდა გადაეცეს.

წინადადებები უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ორგანიზაცია/ინდივიდუალური ინფორმაცია

- მოთხოვნის წარმდგენი პირის საკონტაქტო ინფორმაცია (გვარი/მისამართი/ტელეფონი/ფაქსი/ელ-ფოსტის მისამართი)
- გრანტზე პასუხისმგებელი ჯგუფის საკონტაქტო ინფორმაცია (სახელი/ მისამართი/ტელეფონი/ფაქსი/ელ-ფოსტის მისამართი)
- გთხოვთ აღწერეთ ორგანიზაციის მისია ან რაზეა ფოკუსირებული სამუშაო.
- გთხოვთ გვაცნობთ ჯგუფში მომუშავე ქალების რაოდენობა და შესაბამისად მათი თანამდებობები (თუ არსებობს).

- გთხოვთ გვაცნობთ თქვენს შემოთავაზებულ რეაგირებაში მონაწილე სხვა ჯგუფების სახელები და რა პასუხისმგებლობა ეკისრებათ მათ (თუ ასეთები არსებობს).
- გთხოვთ მოგვაწოდეთ იმ ორგანიზაციების, ინვესტორების ან კოლეგების სახელები და საკონტაქტო ინფორმაცია, რომლებსაც შეუძლიათ რეკომენდაცია გაუწიონ თქვენს სამუშაოს.
- გთხოვთ ჩამოთვალეთ თქვენი ორგანიზაციის მიმდინარე ან წინა დამფინანსებლები და მათი საკონტაქტო ინფორმაცია.
- საიდან შეიტყვეთ სწრაფი რეაგირების ფონდის შესახებ?

სიტუაცია

- გთხოვთ აღწერეთ მოვლენა, რომელმაც გამოიწვია თქვენს მიერ შემოთავაზებული რეაგირება. როდის მოხდა ეს მოვლენა?
- იყო თუ არა ეს სიტუაცია მოსალოდნელი?
- როგორ იძლევა ეს სიტუაცია ქალთა უფლებების დაცვის საქმის წინ წაწევის საშუალებას?

სწრაფი რეაგირება

- გთხოვთ აღწერეთ რა რეაგირებას გეთავაზობთ ამ სიტუაციისთვის.
- რატომ არის შემოთავაზებული რეაგირება დროში გადაუდებელი? (რისთვის არის საჭირო დაფინანსება მოცემულ დროს)?
- როგორ დაეხმარება ეს გრანტი ქალთა უფლებების დაცვის საქმის ხელშეწყობის უფრო ფართო სტრატეგიის მხარდაჭერას ამ რეგიონში ან გლობალური მასშტაბით?
- როგორ შეგვიძლიათ დაგვისაბუთოთ, რომ მონაწილე ჯგუფებს შესწევთ შემოთავაზებული რეაგირების განხორციელებისა და მომავალი მუშაობის დროს ამ შემთხვევაზე დაყრდნობის უნარი?
- როდის მოვლით, რომ თქვენი რეაგირება მოხდეს?
- რა რაოდენობის თანხას მოითხოვთ? გთხოვთ მიუთითოთ რომელ ვალუტას იყენებთ.
- როგორ იქნება ფული გამოყენებული? გთხოვთ მოგვაწოდეთ ბიუჯეტი.
- ამ საქმის მხარდასაჭერად კიდევ რა სხვა წყაროებია ხელმისაწვდომი?
- საჭიროა თუ არა, რომ ამ მოთხოვნის შესახებ ინფორმაცია კონფიდენციალურად იქნეს შენახული? თუ ასეა, გთხოვთ აგვისხნათ, რატომ?

გრანტის მაგალითები

რეაგირება შეიარაღებულ კონფლიქტზე, ძალადობის ესკალაციაზე ან პოლიტიკურად არამდგრად გარემოზე:

რეგიონებში, რომლებშიც ადგილი აქვს მზარდ ძალადობას ან კონფლიქტის ესკალაციას UAF-ი ხელს უწყობს დროულ და სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ღონისძიებებს.

კალინოუ მინდანაოს ქალთა გუნდი – ფილიპინები

როდესაც სულუს პროვინციაში ძალადობამ იფეთქა, რამაც 27,000 ადამიანის მიგრაცია გამოიწვია, კალინოუ მინდანაოს ქალთა გუნდმა კონფლიქტზე დაუყოვნებლივ მოახდინა რეაგირება. ორგანიზაციამ აამოქმედა ფაქტების დამდგენი მისია და მედია კამპანია სულუში ქალთა უფლებების დარღვევებზე საზოგადოების ყურადღების ფოკუსირებისთვის.

პოტენციურად პრეცედენტის შემქმნელ ან პრეცედენტის დამცველ სამართლებრივ ან საკანონმდებლო ქმედებებზე:

UAF-ი ხელს უწყობს დროულ სამართლებრივ ან საკანონმდებლო ქმედებებს, რომლებსაც აქვთ პოტენციალი გავლენა მოახდინონ საზოგადოებრივ აზრზე და მიმართონ იგი ქალთათვის გადამწყვეტი გრძელვადიანი კონსტრუქტიული სარგებლისკენ.

განსხვავებული აზრი (VOD) და ვიდრა – სერბია და მონტენეგრო

როდესაც მთავრობამ მოულოდნელად არჩევნები დანიშნა, ქალთა ორმა ორგანიზაციამ, - განსხვავებულმა აზრმა (VOD) და ვიდრამ, - 40 ქალაქში მოახდინა აქტივისტთა მობილიზება 600-ზე მეტი ქალისთვის საამომრჩეველო ცოდნის მისაწოდებლად. მიუხედავად იმისა, რომ სამოქმედოდ მხოლოდ 2 კვირა ჰქონდათ, ჯგუფებმა გამოიყენეს UAF-ის ფონდები ორგანიზებისა და ინფორმაციის გასაერცვლებლად და უკიდურესად გაზარდეს არჩევნებში მონაწილე ქალთა რიცხვი.

იურისტ ქალთა ეროვნული ასოციაცია (NAWL) – კანადა

ონტარიოს (კანადა) მთავრობამ მოულოდნელად წამოაყენა წინადადება მუსლიმ კანადურ ოჯახებს შორის კონფლიქტების მოსაგვარებლად რელიგიური კანონის გამოყენების შესახებ.

აქტივისტმა მუსლიმმა ქალებმა მიელს მსოფლიოში გამოხატეს თავიანთი შეშოთება ასეთი პრეცედენტში ნაგულისხმევი გენდერული უთანასწორობის გამო. პასუხად NAWL-მა გამოიყენა UAF-ის გრანტი ფემინიზმისა და ისლამის საკითხებში საერთაშორისო ექსპერტების ჩასაყვანად, რათა მათ მონაწილეობა მიეღოთ პრეს-კონფერენციაში, და საჯაროდ გამოეცხადებინათ ამ კანონის მიღების შემთხვევაში ქალებისთვის მოსალოდნელი შედეგები.

ქალთა უფლებების დამცველთა დაცვა და უსაფრთხოება

UAF-ი გასცემს გრანტებს იმ ქალთა ხელშესაწყობად, რომელთა სამსახური ან სიცოცხლე საფრთხეშია მათი საქმიანობის გამო. ისეთი რესურსების დაფინანსებამ, როგორებიცაა ფიჭური ტელეფონები, მძლოლები ან ოფისის უსაფრთხოების სისტემები, შეიძლება საშუალება მისცეს აქტივისტებს, მუშაობა უფრო უსაფრთხო პირობებში განაგრძონ. საჭიროების შემთხვევაში UAF-ს შეუძლია ხელი შეუწყოს საშიში გარემოდან აქტივისტის ევაკუაციას.

შემდეგი აღწერილობებიდან უსაფრთხოების მიზნით ამოღებული იქნა მაიდენტფიცირებელი დეტალები.

ლათინური ამერიკა

ქალთა უფლებების ერთ-ერთ დამცველს მრავალჯერ დაემუქრნენ მოკვლით მას შემდეგ, რაც მან ამხილა სამოქალაქო პირთა ხოცვა-ჟლეტა. UAF-მა გამოყო გრანტი აქტივისტის სხვა ადგილას გადასაყვანად და მის ოფისში კამერების დასაყენებლად. ასევე გამოყოფილი იქნა სახსრები ორგანიზაციის წევრთა მობილური ტელეფონებით უზრუნველსაყოფად, რათა მათ შესძლებოდათ განგაში აეტყხათ ახალი საშიში სიტუაციების შექმნისას.

აზია

ქალი აქტივისტები ადგილობრივმა პოლიციამ ამოიღო მიზანში, როდესაც მათ პროტესტი განაცხადეს მათი მიწისა და საჯარო საკუთრებაში მყოფი ტყეების გაყიდვის წინააღმდეგ. UAF-ის გრანტმა ხელი შეუწყო ქალი აქტივისტების უსაფრთხო თავშესაფრით უზრუნველყოფას და ტრანსპორტირებას.